განმარტებითი წერილი

მრავალფუნქციური კომპლექსი , ვეფხისნის N20.

სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის

III-IV კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილებას.

თქვენს მიერ AR1650714 განაცხადის საფუძველზე მოწერილ შუალედური გადაწყვეტილების თანდართული ფაილის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის პასუხის საფუძველზე გწერთ შესაბამის ახსნა-განამრტებით წერილს.

განმარტებები

განმარტებები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის შენიშვნები წარმოდგენილია წითელი ფერის ტექსტით, ხარვეზის ქვეშ ჩვენს მიერ გაკეთებული შესაბამისი განმარტება წარმოდგენილია შავი ფერის ტექსტით .

1. მიწისქვეშა ავტოსადგომში მოცემულ ლიფტების შახტები შესასვლელებში, გათვალისწინდეს ტამბურ-რაბების მოწყობა, ხანძრის შემთხვევაში ჰაერის დაწნევით (აღნიშნული არ შეესაბამება ტამბურ-რაბების მოწყობის მოთხოვნებს). ტამბურ-რაბების მღობავი კონსტრუქციების ცეცხლმედეგობა მიღებული იქნეს არანაკლებ 45 წუთის, ხოლო ტამბურ-რაბებში მოწყობილი კარების ცეცხლმედეგობა - არანაკლებ 30 წუთის. ამასთან ერთად, აღნიშნულ ნიშნულზე კიბის უჯრედებში შესასვლელებში მოწყობილ ტამბურ-რაბებში გათვალისწინდეს ჰაერის დაწნევის სიტემის მოწყობა :

აღნიშნული შენიშვნები სრულად გავითვალისწინეთ პროექტში , კერძოდ ჩავასწორეთ არქიტექტურულ და დაკავებულობის გეგმებში -3.20 ნიშნულზე(პარკინგის სართულზე) .

2. ვინაიდან დაპროექტების დოკუმენტაციაში გაურკვეველია ლიფტების შახტებში ჰაერის დაწნევის სისტემების მოწყობის საკითხი, ლიფტების შახტებში გათვალისწინდეს ჰაერის დაწნევის სისტემების მოწყობა.

აღნიშნული შენიშვნები სრულად გავითვალისწინეთ პროექტში , კერძოდ ჩავასწორეთ არქიტექტურულ და დაკავებულობის გეგმებში ყველა სართლზე.

3. მრავალფუნქციური შენობის, ასევე მიწისქვეშა ავტოსადგომის საევაკუაციო გზებზე გათვალისწინდეს ხანძრის შემთხვევაში საევაკუაციო განათებების მოწყობა.

აღნიშნული განათებების მოწყობა წარმოდგენილია პროექტის ჭრილების ალბომში , ნახაზის დასახელება : კიბის დეტალური ნახაზები

4. დაპროექტების დოკუმენტაციაში ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემის სატუმბო სადგურის სათავსოს უნდა გააჩნდეს დამოუკიდებელი გარეთ გასასვლელი ან იმ კიბის უჯრედში შესასვლელი, რომელიც გარეთ მიემართება.

აღნიშნული შენიშვნა სრულად გავითვალისწინეთ პროექტში , კერძოდ ჩავასწორეთ არქიტექტურულ და დაკავებულობის გეგმებში -3.20 ნიშნულზე (პარკინგის სართულზე) . სატუმბო სადგურს გავუკეთეთ პირდაპირ გარეთ გასასვლელი პარკინგის პანდუსის მეშვეობით .

5. ვინაიდან მრავალფუნქციურ შენობაში მოსაწყობია ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემები, რომლებიც საჭიროებს დამატებით სათადარიგო ელექტრომომარაგებას, გათვალისწინდეს, რომ თუ მოხდება შენობის რომელიმე სათავსოში გენერატორის განთავსება, დაცული უნდა იქნეს SP 4.13130.2013 პუნქტი 6.9.18-ის მოთხოვნა.

პროექტში განისაზღვრა გენერატორის განსათავსებელი ფართობი -3.20 ნიშნულზე (პარკინგის სართულზე) , რომელიც გადის პირდაპირ გარეთ პარკინგის პანდუსის მეშვეობით .

6. ვინაიდან, სამშენებლო დოკუმენტაციაში ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების
მოწყობის საკითხები განიხილება ტექნოლოგიური სქემების დონეზე და არა ამ სისტემების
მოწყობისათვის შესაბამისი პროექტების შემუშავების გზით, „მშენებლობის ნებართვის
გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24
მარტის N57 დადგენილების 50-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნიდან

გამომდინარე, სამსახურს აუცილებლად მიაჩნია შემუშავებული იქნას შენობის ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების დაპროექტების დოკუმენტაცია და დადგენილი
წესის შესაბამისად წარმოდგენილი იქნას განსახილველად, რომელიც უნდა შეიცავდეს:
ა) შენობის გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების მოწყობის პროექტს;
ბ) შენობის შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების მოწყობის პროექტს;
გ) შენობის ავტომატური სახანძრო სიგნალიზაციის მოწყობის პროექტს;
დ) შენობის კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის და დაწნევის სისტემების მოწყობის პროექტს;
ე) შენობის ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემის მოწყობის პროექტს;
ვ) შენობის ხანძრის შესახებ შეტყობინებისა და ადამიანთა ევაკუაციის მართვის სისტემების
მოწყობის პროექტს;
ზ) შენობის გათბობა-ვენტილაციის სისტემების მოწყობის პროექტს;
თ) შენობის ელექტროდანადგარების სისტემის მოწყობის პროექტს;

აღნიშნული ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების მოწყობის პროექტები ჩვენს მიერ იქნება შესრლებული და შეთანხმებისამებრ წარმოდგენილი გონივრულ ვადაში საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში.